42

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატის ბრძანებათა და განკარგულებათა

კრებული

№ 7 | წელიწადი მეექვსე | 1942 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ. ბარგნის სახ. სკ. ბიბლიოთეკა თბილისი

შინაარსი

1. ბრძანება № 3470—საშუალო სკოლების 1941—42 სასწ. წლის გამოსაშვები კლასების წერითი საგამოცდო ნამუშევრების შემოწმების შედეგების შესახებ ალგებრაში 2
2. ბრძანება № 3242—ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვის შესახებ 8
3. სოცშეჯიბრების პირობების სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობისათვის . . . 11
4. Приказ № 3496 О результатах годовых испитательных письменных работ по русскому языку и литературе учащихся X классов в конце 1941—42 учебн. года 16

განსახკომი
თბილისი — 1942

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანება № 3470

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1942 წლ. „2“ ივლისი

საშუალო სკოლების 1941—42 სასწავლო წლის გამოსაშვები—მე-10 კლასების საგამოცდო წერითი ნამუშევრების შემოწმების შედეგების შესახებ ალგებრაში

გავეცანი რა საშუალო სკოლების 1941—42 სასწავლო წლის გამოსაშვები,—მე-10 კლასების წერითი ნამუშევრების ანალიზს ალგებრაში, აღვნიშნავ, რომ მოსწავლეთა საგრძნობი ნაწილის მიერ ამოცანის პირობის მიხედვით შესაბამისი განტოლება სწორადაა შედგენილი და განტოლების შედგენის დროს მოცემულია უცნობის შერჩევის, აღნიშვნების შემოტანისა და მოცემულ და საძიებელ სიდიდეებს შორის დამოკიდებულების სრული ზუსტი და ლოგიკურად დასაბუთებული ახსნა-განმარტება; განტოლების ამოხსნა შესრულებულია სწორად, მოხდენილია მიღებული ამონახსენისა და ამოცანის პირობის შესაბამისობის შემოწმება, განმარტებულია პასუხების აზრი, მოცემულია სწორი და სრული განმარტებანი მაგალითების ამოხსნის მსვლელობისა და წესიერადაა გაფორმებული ჩანაწერი. წერითი ნამუშევრების ასეთ კარგ ნიმუშებს იძლევა აბაშის პირველ (მასწ. კ. სიმონია), ქ. ქუთაისის მე-2—(მასწ. ა. მოსეშვილი), ლაგოდეხის ი. ჭავჭავაძის სახელობის (მასწ. ვ. პაპალაშვილი), ქ. თბილისის მე-17 (მასწ. ვ. კვიმსაძე) და სხვა საშუალო სკოლები.

მაგრამ 1941/42 სასწავლო წლის გამოსაშვებ მე-10 კლასების წერითი გამოცდებმა ალგებრაში ზოგიერთ სკოლაში ვერ მოგვცა დამაკმაყოფილებელი შედეგები:

ა) არის შემთხვევები, რომ საშუალო სკოლის მოსწავლეებმა ამოცანისა და მაგალითების პირო-

ბის გაგების და მათი ამოხსნის ხერხის შერჩევის სრული უცოდინარობა გამოამჟღავნეს; მაგალითად წყალტუბოს რაიონის მაღლაკის საშუალო სკოლის (მასწ. მ. ფაჩუაშვილი—დამთავრებული აქვს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის სრული კურსი, 1940 წელს) მოსწავლეებს ვერ გაუგიათ ამოცანების და მაგალითების პირობა და ნაცვლად კვადრატული განტოლებისა, რაც პირობის მიხედვით არის გათვალისწინებული, პირველი ხარისხის ერთუცნობიანი განტოლება მიუღიათ.

ამოცანების და მაგალითების ამოხსნის უცოდინარობა გამოამჟღავნეს აგრეთვე გეგეჭკორის რაიონის თამაკონის და აბედათის საშუალო სკოლების (მასწ. მ. კიკალეიშვილი,—დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკო-მათემატიკური ფაკულტეტის 3 კურსი. ვ. დანელია,—დამთავრებული აქვს ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტი) მოსწავლეებმა. საგამოცდო ამოცანები და მაგალითები აღნიშნულ სკოლების არცერთ მოსწავლეს არა აქვს ამოხსნილი. ქ. თბილისის 24-ე საშუალო სკოლის მე-10 კლასის 10 მოსწავლიდან (მასწ. თ. გოგმეჩაძე—დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის სრული კურსი) მხოლოდ 1 მოსწავლეს აქვს დამაკმაყოფილებლად ამოხსნილი ამოცანა. 63-ე საშუალო სკოლის (მასწ. შ. ცინცაძე) მე-10 კლასის 30 მოსწავლიდან ამოცანა არა აქვს ამოხსნილი 20 მოსწავლეს. მსგავს მდგომარეობას აქვს ადგილი ნოსირის (ცხაკაიას რ.), სვირის ზესტაფონის რ. (მასწ. მ. რობაქიძე,—დამთავრებული აქვს დაუსწრებელი პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის 4-კურსი) და ქ. თბილისის მე-60 (მასწ. ჩუდნოვსკაია) საშუალო სკოლებში.

ბ) ზოგი სკოლის მოსწავლე ვერ ახერხებს განტოლების შედგენის დასაბუთებულ ახსნა-განმარტების მოცემას, ან და თუ იძლევა,—ძალიან სუსტად. ასე მაგალითად, ქ. თბილისის მე-15 საშუალო სკოლის (მასწ. ქ. დარახველიძე,—დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის სრული კურსი) მე-10 კლასის 23 მოსწავლიდან მხოლოდ ერთ მოსწავლეს აქვს მოცემული განტოლების შედგენის დამაკმაყოფილებელი ახსნა-განმარტება. სუსტ ახსნაგანმარტებას იძლევიან აგრეთვე შემდეგი სკოლების მოსწავლეები: მარნის

(აბაშის რ. მასწ. ს. დუნდუა.—დამთავრებული აქვს თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის 3 კურსი), ძეგვის (მცხეთის რ. მასწ. ა. ვართაზაროვა, დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკური ფაკულტეტის სრული კურსი, 1941 წელს), ზესტაფონის მე-2 (მასწ. ა. კაპანაძე). ოზურგეთის (მაიაკოვსკის რ. მასწ. ბ. ლეჟავა) ქ. ქუთაისის მე-5 (მასწ. ა. ამირაგოვა) და სხვა საშუალო სკოლები.

გ) ზოგ სკოლაში ნაკლები ყურადღება ექცევა განტოლებაში ორი პასუხის მიღების შემთხვევაში მათი აზრის განმარტებას, ე. ი. იმის დასაბუთებას, თუ მიღებულ ფესვებიდან რომელი გამოდგება ამოცანისათვის და რომელი არა. განსაკუთრებულ ითქმის ეს ზესტაფონის ფეროს (მასწ. გ. ბოჭორიშვილი), მარნის (აბაშის რაიონი), აფენის (ლაგოდეხის რ. მასწ. წერეთელი), ძეგვის (მცხეთის რ.), ქ. ქუთაისის მე-5, ქ. თბილისის 64-ე (მასწ. ზუბ) და მე-15 საშუალო სკოლების შესახებ.

დ) ზოგიერთი საშუალო სკოლის მოსწავლემ არ იცის მიღებული ამონახსენის და ამოცანის პირობის შესაბამისობის შემოწმება და შემოწმებას აწარმოებს არა ამოცანის პირობის მიხედვით, არამედ კმაყოფილდება შედგენილ განტოლებაში უცნობის მნიშვნელობის ჩასმით. ამოცანის შემოწმების ცუდ ნიშნებს იძლევიან ოფშკვითის (ქუთაისის რ.), ქუთაისის მე-5, მარნის (აბაშის რ.), ზესტაფონის ფეროს და სხვა საშუალო სკოლები.

ე) საშუალო სკოლის მათემატიკის ზოგიერთი მასწავლებელი მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების გასწორებას ზერელედ და უდარდელად ეკიდება, რის გამო წერით ნამუშევრებში მრავალი შეცდომა გაუსწორებელი რჩება. მაგალითად: მაღლაკის საშუალო სკოლის 33 მოსწავლის მიერ დაშვებულ 62 სხვადასხვა ტიპის უხეშ შეცდომიდან 60 შეცდომა მასწავლებლის მიერ შეუმჩნეველი და გაუსწორებელია; აბედათის საშუალო სკოლის მასწავლებლის მიერ 27 ნამუშევარში 59 სხვადასხვა ტიპის შეცდომიდან გაუსწორებელია 53 უხეში შეცდომა; ზესტაფონის ფეროს საშუალო სკოლის 28 მოსწავლის მიერ დაშვებულ 69 უხეშ შეცდომიდან მასწავლებლის მიერ გაუსწორებელია 62 უხეში შეცდომა; თამაკონის საშუალო სკოლის მასწავლებელს 16 ნამუშევარში ვერ შეუმჩნევია და არ გაუსწორებია 32 სხვადასხვა ტიპის უხეში შეცდომა; ზესტაფონის რაიონის სვირის საშუალო სკოლის 24 მოსწავლის მიერ დაშვებულ 56 სხვადასხვა

სახის უხეშ შეცდომიდან მასწავლებლის მიერ შემჩნეული და გასწორებულია მხოლოდ 14 შეცდომა და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) **საგამოცდო წერითი ნამუშევრების ანალიზმა ნათელჰყო აგრეთვე, რომ ზოგ სკოლაში ჯერ კიდევ ადგილი აქვს მოსწავლეთა ცოდნის შეფასებისადმი, როგორც აშკარა ლიბერალურ დაუპასუხისმგებლო დამოკიდებულებას, შეფასების ნიშნების ხელოვნურად აწევის ანტიპედაგოგიურ და თვალისახვევის დანაშაულებრივ ფაქტებს:** ასე მაგალითად, გამოსაშვებ კლასების მოსწავლეთა ცოდნის შეფასებაში დაუშვებელი გულგრილობა და უპასუხისმგებლობა იქნა გამომჟღავნებული მაღლაკის საშუალო სკოლაში (ალგებრის 33 წერითი საგამოცდო ნამუშევრიდან 3 ნამუშევარი შეფასებულ იქნა „ფრიადზე", 4 „კარგზე" და 22 „საშუალოზე", მაშინ როდესაც ამ ნამუშევრებიდან 30 შესრულებულია „ცუდზე"), აბედათის საშუალო სკოლაში (27 ნამუშევრიდან ფრიადი „შეფასება მიეცა 8-ს, „კარგი" 12-ს და „საშუალო"—7-ს. სინამდვილეში კი ამათგან 14 აღმოჩნდა „ძლიერ ცუდი", ხოლო 13 „ცუდი"), თამაკონის საშუალო სკოლაში, (მასწავლებელი 16 ნამუშევარს აძლევს „ფრიადს", „კარგს" და „საშუალო" შეფასებას. ფაქტიურად კი ყველა ნამუშევარი „ცუდზე" უნდა შეფასდეს), ზესტაფონის რაიონის სვირის საშუალო სკოლაში (24 მოსწავლის საგამოცდო ნამუშევრიდან 12 შეფასებულია „ფრიადზე", 7 „კარგზე" და 5 „საშუალოზე", ფაქტიურად კი 2 ნამუშევარი აღმოჩნდა „საშუალო" ნიშანზე შესრულებული, ხოლო 22 „ცუდზე"), ზესტაფონის ფეროს საშუალო სკოლაში (28 ნამუშევრიდან „ფრიადი" შეფასება მიეცა 5, „კარგი" 18 და „საშუალო" 5, ხოლო 25 „ცუდი", ქ. ქუთაისის მე-5 საშუალო სკოლაში, 30 მოსწავლის წერითი საგამოცდო ნამუშევრიდან „ფრიადზე" შეფასდა 6, „კარგზე" და „საშუალოზე" 16 მაშინ, როდესაც 20 ნამუშევარი ფაქტიურად შესრულებულია—„საშუალოზე", ხოლო 10 „ცუდზე".

წერითი ნამუშევრების ლიბერალური შეფასების მსგავს მაგალითებს იძლევიან აგრეთვე მუხურის (ტყიბულის რ.), როხის (მაიაკოვსკის რ.), მარნის (აბაშის რაიონი), ძეგვის (მცხეთის რ.), და ზოგიერთი სხვა საშუალო სკოლებიც.

ზ) **ზოგ სკოლაში წერითი გამოცდები ცუდად იყო ორგანიზებული, რის გამოც ადგილი ჰქონდა მოსწავლეთა მიერ წერითი ნამუშევრების ერთმა-**

ნეთისაგან გადაწერის შემთხვევებს. ასე მაგალითად, სვირის საშუალო სკოლის 23 მოსწავლის ნამუშევრიდან მხოლოდ 2 მოსწავლის ნამუშევარია დამოუკიდებლად შესრულებული დანარჩენი კი ამ ორი ნამუშევრების ასლს წარმოადგენს. ასევე ითქმის მაღლაკის, აბედათის, თამაკონის, როხის, მარნის, ოფშკვითის და სხვა საშუალო სკოლების შესახებ.

ვთვლი, რომ საშუალო სკოლის 1941—42 სასწავლო წლის გამოსაშვები მე-10 კლასების წერით ნამუშევრებში არსებული ეს დამახინჯებანი შედეგია მათემატიკის ზოგიერთი მასწავლებლის დაბალი მომზადებისა, თავისთავზე სუსტი მუშაობისა და ამ საქმისადმი სკოლის დირექტორების და განათლების განყოფილებათა გამგეების უპასუხისმგებლო დამოკიდებულებისა,

ვბრძანებ

1. საშუალო სკოლის გამოსაშვები, მე-10 კლასების, მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საქმისადმი უპასუხიმგებლო დამოკიდებულებისათვის და ამასთანავე ცრუ ფრიადოსანთა გამოშვებისათვის გამოეცხადოს სასტიკი საყვედური:

გეგეჭკორის რაიონის აბედათის საშუალო სკოლის დირექტორს ვალენტინა იასონის-ასულ ჩხიკვაძეს და წყალტუბოს რაიონის მაღლაკის საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეს გრიგოლ სპირიდონის-ძე დოლაბერიძეს.

2. საგამოცდო ამოცანებისა და მაგალითების ამოხსნის ხერხის შერჩევის საქმეში უცოდინარობის გამომჟღავნებისათვის, მოსწავლეთა მიერ დაშვებულ მრავალი უხეში შეცდომის გაუსწორებლობისათვის და კურსდამთავრებულთა წერითი ნამუშევრების ლიბერალურად შეფასებისათვის ჩამოყენებულ იქნან 1942 წლის 20 აგვისტოდან არასრულ საშუალო სკოლის მასწავლებლებად:

ა) წყალტუბოს რაიონის მაღლაკის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი მარო ფაჩუაშვილი;

ბ) თამაკონის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი მ. კიკალეიშვილი;

გ) აბედათის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი ვ. დანელია;

დ) სვირის საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი მ. რობაქიძე.

3. საშუალო სკოლის გამოსაშვები, მე-10 კლასების, მოსწავლეთა წერითი ნამუშევრების ზერელედ და უყურადღებოდ გას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წორებისათვის და წერითი ნამუშევრების არასწორად შეფასებისათვის გაფრთხილება მიეცეს: ა) ქ. ქუთაისის მე-5 საშუალო სკოლის მათემატიკის მასწავლებელს, ა. ამირაგოვას, ბ) აბაშის რაიონის მარნის საშუალო სკოლის მასწავლებელს, ს. დუნდუას, მცხეთის რ. ს. ძეგვის საშ. სკოლის მასწავ. ა. ვართაზანოვას, დ) მაიაკოვსკის რაიონის როხის საშუალო სკოლის მასწავლებელს, გ. ბოჭორიშვილს.

4. არასრული საშუალო და საშუალო სკოლების მათემატიკის მასწავლებლებმა სისტემატურად აიმაღლონ პედაგოგიური კვალიფიკაცია, შეისწავლონ მათემატიკის შესახებ არსებული მეთოდური ლიტერატურა და ყოველდღიური მუშაობა აწარმოონ მათემატიკის სწავლების შესახებ საქართველოს სსრ განსახკომის მიერ 1939—41 წლებში მიცემული დირექტივებისა და კოლეგიის დადგენილებების საფუძველზე (იხილე: ა) საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიის 1939 წლის თებერვლის დადგენილება, ბ) საქართველოს სსრ განსახკომის 1919 წლის 2 ნოემბრის ბრძანება, გ) საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიის დადგენილება 1940—41 სასწავლო წლის 1—ნახევარში მათემატიკის სწავლების შედეგების შესახებ, 1941 წ. 5 თებერვალი, დ) დადგენილება საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიისა მათემატიკის სწავლების შესახებ სამამულო ომის პირობებში, 1942 წ. 31 დეკემბერი და სხვ.).

5. წინადადება მიეცეს წყალტუბოს, გეგეჭკორისა და ზესტაფონის რაიონის განათლების განყოფილებათა გამგეებს სისტემატური ხელმძღვანელობა და კონტროლი დააწესონ მაღლაკისა, აბედათისა, თამაკონის და სვირის სკოლებს მათემატიკის მასწავლებლების,—მ. ფაჩუაშვილის, ვ. დანელიას, მ. კიკალეიშვილისა და მ. რობაქიძის მუშაობაზე და იმ შემთხვევაში, თუ ვერ უზრუნველყოფენ მათემატიკის სწავლების სათანადო სიმაღლეზე დაყენებას არასრული საშუალო სკოლის კლასებში და ყოველდღიურად არ იზრუნებენ საკუთარი კვალიფიკაციის ამაღლებაზე, მასწავლებლობიდან მათი მთლიანად მოხსნის საკითხი დააყენონ განსახკომის წინაშე.

6. დაევალოს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორს და პედაგოგიური და სამასწავლებლო ინსტიტუტების დირექტორებს ეს ბრძანება განიხილონ ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტების განყოფილებებისა და სათანადო კათედრების სხდომებზე და შესაფერი ღონისძიებანი დასახონ მათემატიკის მასწავლებელთა კადრების მომზადების საქმეში არსებულ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად.

7. ეს ბრძანება განხილულ იქნას რესპუბლიკის ყველა სკოლის პედაგოგიურ საბჭოს სხდომაზე 1942 წლის აგვისტოში და დასახული იქნას სათანადო ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველჰყოფენ ამ დარგში არსებულ დამახინჯებათა სრულ ლიკვიდაციას.

საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარი

გ. კიკნაძე

საფუძველი: საქ. სსრ განსახკომის კოლეგიის 1942 წლის 18 ივლისის დადგენილება.

ბრძანება № 3242

განათლების სახალხო კომისარიატისადმი

1942 წ. 9 ივლისი

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს მიერ დამტკიცებულ ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვის გეგმის შესრულების მიმდინარეობის შესახებ

აღვნიშნავ, რომ საქართველოს სსრ დაწყებით, არასრული-საშუალო და საშუალო სკოლების უმეტესმა ნაწილმა დროულად გაშალა მუშაობა ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვის შესახებ საქართველოს სსრ სახკომსაბჭოს 1942 წლის 13 აპრილის დადგენილების განსახორციელებლად. 1942 წლის 20 ივნისისათვის საქართველოს სსრ 42 რაიონის სკოლებში ნაცვლად გეგმით გათვალისწინებულ 633.367 ცალისა უკვე შეგროვდა და გადაეცა მოსწავლეებს 738.237 ც. ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელო წიგნი და გეგმა ამ რაიონების მიერ შესრულებული იქნა 111%.

ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვის საქმის ორგანიზებულად და ნაყოფიერად ჩატარების საქმეში გამოირჩევიან შემდეგი განათლების განყოფილებანი: ჭიათურისა (განყოფილების გამგე ვ. ბიწაძე, გეგმა შესრულდა 131%), ლანჩხუთისა (გამგე ჩხაიძე, გეგმა შესრულდა 137%), გეგეჭკორისა (გამგე—რ. ძაძამია, გეგმა შესრულდა 233%), ორჯონიკიძის სახელობის (გამგე—გიორგი ღამბაშიძე, გეგმა შესრულდა 138%), წითელ-წყაროსი (გამგე ჩინჩალაძე, გეგმა შესრულდა 137%).

მაგრამ ზოგიერთი განათლების განყოფილების გამგეები და სკოლის დირექტორები ამ უაღრესად დიდი სახელმწიფოებრივი

მნიშვნელობის საქმეს უპასუხისმგებლოდ მოეკიდნენ, არ გააფრთხილეს მას კონკრეტული ხელმძღვანელობა და სახელმძღვანელოების შესყიდვა თვითდინებას მიანდვეს. ამის შედეგად სტაბილური სახელმძღვანელოს შესყიდვის გეგმა გურჯაანში შესრულებულია 60%-ით, ხობის რაიონში—77, ონის რაიონში—80-ით, ზესტაფონის რაიონს—91, ხოლო სამტრედიის, დუშეთის, თელავის, ბოგდანოვკის, თბილისის, საგარეჯოს და სხვა რაიონის განათლების განყოფილებებს 25 ივნისისათვის სკოლებიდან არ ჰქონდა შეგროვილი ცნობები სტაბილური სახელმძღვანელოების შეგროვების შესახებ და დაზუსტებული მასალები არ არის წარმოდგენილი განსახკომში.

ზოგი რაიონის (გორის, ზემო სვანეთის, ბოგდანოვკის, ხობის) სკოლების დირექტორებმა დროულად არ მიიღეს ზომები, რათა შეგროვილი სახელმძღვანელოები სასწავლო წლის დასასრულს მიეყიდათ მოსწავლეებისათვის, რის გამო ამ რაიონის სკოლებში შეძენილი სტაბილური სახელმძღვანელოები საკლასო ოთახებსა და სამასწავლებლოში აწყვია. აღნიშნული მდგომარეობის გამოსწორებისათვის

ვბრძანებ:

1. წალკის, ბორჩალოს, სამტრედიის, დუშეთის, თელავის, ონის ბოგდანოვკის, ლუქსემბურგის რაიონებისა და ქ. ჭიათურის განათლების განყოფილებებმა:

ა) 20 ივლისამდე შეამოწმონ სკოლებში ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვის მდგომარეობა და კონკრეტული ღონისძ ებანი გააატარონ სახელმძღვანელოთა შესყიდვის გეგმის გადაჭარბებით შესასრულებლად.

ბ) მათვე დააზუსტონ და 20 ივლისამდი წარმოადგინონ ცნობები განსახკომში დამატებითი საჭირო სახელმძღვანელოს მოთხოვნილების შესახებ.

2. დაწყებით, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების დირექტორებმა (გამგეებმა):

ა) კლასის ხელმძღვანელებთან ერთად შეამოწმონ ცალკე კლასების მიხედვით შეგროვილი სახელმძღვანელოების რაოდენობა, გამოარკვიონ თუ რამდენად არის შესრულებული შეგროვების გეგმა ცალკე სახელწოდებების მიხედვით და მიიღონ ყველა საჭირო ზომა, რათა შეგროვილი სახელმძღვანელოდან არ დარჩეს მოსწავლეებისათვის მიუყიდავი არცერთი ცალი წიგნი;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) საშემოდგომო გამეორებითი გამოცდების დამთავრებისას შეაგროვონ მანამდე აღურიცხავი სახელმძღვანელოები და უზრუნველჰყონ 1-ლ სექტემბრამდე მათი მიყიდვა მოსწავლეებზე;

გ) დააზუსტონ ცალკე სახელმძღვანელოებებისა და კლასების მიხედვით დამატებით საჭირო სახელმძღვანელოების მოთხოვნილება, სისტემატური კავშირი დაამყარონ საჭირო წერტებთან და უზრუნველჰყონ ახლად გამოშვებული სახელმძღვანელო წიგნების დროულად შეძენა.

3. ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა სისტემატურად უხელმძღვანელონ სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვის საქმეს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საშემოდგომო გამოცდამიცემულ ბავშვთა ნახმარი სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვას გამოცდების დამთავრების პერიოდში და უზრუნველჰყონ გეგმის გადაჭარბებით შესრულება.

4. სტაბილური სახელმძღვანელოების შესყიდვის შედეგები, საბოლოო ანგარიშის სახით წარმოდგენილი იქნეს განსახკომში არა უგვიანეს 15 სექტემბრისა.

საქ. სსრ განათლების სახალხო კომისარი **გ. კიკნაძე**

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განსახკომის კოლეგიის 1942 წლის 2 ივლისის დადგენილება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მონაწილეობისათვის საქ. ალკა რაიკომების, განათლების განყოფილებების, სკოლების, მასწავლებლებისა და მოსწავლეთა სოცშეჯიბრების პირობები

მტრის საბოლოოდ განადგურებისათვის უხვ მოსავალს ისეთივე პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს, როგორც ტყვიის, ყუმბარის, ზარბაზნის, ტყვიამფრქვევის, ტანკისა და სხვა სამხედრო საჭურველის დამზადებას. ბრძოლა უხვი მოსავლისათვის—ყველა საბჭოთა მოქალაქის წმინდათაწმინდა მოვალეობაა. საბჭოთა მასწავლებლები და მოსწავლეები მნიშვნელოვანი ძალაა, რომელსაც შეუძლია უდიდესი დახმარება გაუწიოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს უხვი მოსავლის მოყვანის საქმეში. ამ ამოცანის განხორციელების მიზნით შესანიშნავი საქმე დაიწყეს ირბიტის (სვერდლოვის ოლქი) რაიონის სკოლების მასწავლებლებმა და მოსწავლეებმა. მათ საფუძველი ჩაუყარეს სკოლების სრულიად-საკავშირო შეჯიბრებას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში უკეთესი მონაწილეობისათვის. ირბიტელებმა იკისრეს მთელი რიგი ვალდებულებებისა და მიმართეს საბჭოთა კავშირის ყველა მასწავლებელს და მოსწავლეს დაეხმარონ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში მაღალი მოსავლის მიღების უზრუნველსაყოფად. ირბიტელთა მიმართვამ მხურვალე გამოხმაურება ჰპოვა საქართველოს სსრ სკოლების მასწავლებელთა და მოსწავლეთა შორის.

თავდაცვის სახალხო კომისრის ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანებამ შრომითი აღმავლობის ახალი ტალღა გამოიწვია ჩვენს მოსწავლეებსა და მასწავლებლებში. იმ მიზნით, რათა მტერი უახლოეს ხანაში იქნეს განადგურებული, ჩვენი ქვეყნის მასწავლებლები და მოსწავლეები ახლა ასიათასობით მუშაობენ საკოლმეურნეო მინდვრებსა და საბჭოთა მეურნეობებში და იძლევიან შრომითი გმირობის ახალახალ საუკეთესო მაგალითებს.

ირბიტელთა მოწოდებაზე გამოხმაურების პირველი ინიციატივა დუშეთის რაიონის ჭოპორტის საშუალო სკოლის, ლანჩხუთის,

მახარაძის, ზუგდიდის, ჭიათურის, თელავის და სხვა რაიონების სკოლების პედაგოგიურმა კოლექტივებმა და მოსწავლეებმა აიღეს, რომელიც ჩაებენ სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში და გამოიწვიეს საქართველოს რესპუბლიკის სხვა სკოლები.

მხარს უჭერს რა ირბიტის სკოლის მასწავლებელთა და მოსწავლეთა მოწოდებაზე ამ რაიონების სკოლების მასწავლებელთა კოლექტივების და მოსწავლეების გამოხმაურებას, მასწავლებელთა და მოსწავლეთა სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში უკეთესი მონაწილეობისათვის სრულიად-საკავშირო შეჯიბრებაში ჩაბმის შესახებ, საქ. ალკკ ც. კ. საქ. სსრ მიწსახკომი, საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატი და დაწყებითი და საშუალო სკოლის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტი აცხადებენ სოციალისტური შეჯიბრების შემდეგ პირობებს:

I. საქ. ალკკ რაიონული კომიტეტებისა და განათლების განყოფილებებისათვის

სოცშეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან საქართველოს ალკკ რაიკომები და საქართველოს სსრ რაიონების განათლების განყოფილებები, რომელნიც:

1. მიაღწევენ რაიონის მასშტაბით თითოეულ მოსწავლეზე უფრო მეტი შრომა დღის გამომუშავებას კოლმეურნეობებში და შრომითი ნორმების გამომუშავებას საბჭოთა მეურნეობებში, მუშაობის სათანადო ხარისხის დაცვით.

2. საუკეთესოდ მოაწყობენ მასწავლებელთა სემინარებს და უზრუნველჰყოფენ მათ მომზადებას სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებისათვის.

3. კონკრეტული ხელმძღვანელობითა და სისტემატური დახმარებით უზრუნველჰყოფენ მოსწავლეთა მომზადებას (მანქანა-იარაღებისა და აგროწესების შესწავლა) მათთვის განკუთვნილი სამუშაოების წარმატებით შესრულებისათვის.

4. რაიმიწგანთან შეთანხმებით კოლმეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების მოთხოვნილებათა საფუძველზე დროულად გაანაწილებენ სკოლის სასოფლო-სამეურნეო სამუშაოებში ორგანიზებულად მონაწილეობის მისაღებად და უზრუნველჰყოფენ ამ მუშაობის წარმატებით შესრულებას.

5. გაუწევენ ხელმძღვანელობას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებში სამხედრო-ფიზკულტურულ და საგიტაციო-საპროპაგანდო მუშაობის დაყენებას და კონკრეტული დახმარებით

უზრუნველჰყოფენ ამ საქმეში მასწავლებელთა და მოსწავლეთა ძალ-სიურად ჩაბმას.

6. სისტემატურად შეამოწმებენ კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე მოსწავლეთა რაზმების მუშაობას, ყოველთვიურად შეაჯამებენ ჩატარებულ მუშაობას და გაატარებენ ლონისძიებებს მუშაობის გაუმჯობესებისათვის.

II. სკოლებისათვის

შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლება იმ სკოლების კოლექტივები, რომლებიც:

1. უფრო მეტი რაოდენობით გამოიმუშავებენ ყოველ თითოეულ მოსწავლეზე შრომა დღეს კოლმეურნეობაში და შრომითი ნორმებს საბჭოთა მეურნეობებში, მუშაობის სათანადო ხარისხის დაცვით.

2. საუკეთესოდ ჩაატარებენ მოსწავლეთა მიერ (მე-6—10 კლასების) აგრომინიმუმის შესწავლას, მოსწავლეთა რიგებიდან ტრაქტორისტების მომზადებას და მოახდენენ საბოლოო სამეურნეო სამუშაოებში ორგანიზებულად ჩაბმას.

3. რაიმიწგანებისა, კოლმეურნეობების გამგეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სატრაქტორო სადგურების დირექტორებთან მჭიდრო კავშირის დამყარებით წინასწარ გამოარკვევენ აღნიშნულ მეურნეობებში შესასრულებელი სამუშაოების ხასიათს; მუშახელის საჭიროებას და მის საფუძველზე შეადგენენ სკოლის მუშაობის კონკრეტულ გეგმას ამ დარგში.

4. საუკეთესოდ მოაწყობენ სააგიტაციო-საპროპაგანდო და სამხედრო ფიზკულტურულ მუშაობას: ჩამოაყალიბებენ აგიტპუნქტებს და ჩააბამენ მასში მომზადებულ აგიტატორებსა და პროპაგანდისტებს, მიაწოდებენ კოლმეურნეებს ჟურნალ-გაზეთებს, მოაწყობენ საუბრებს, გაზეთების ხმამაღალ კითხვას და სხვა.

5. უხელმძღვანელებენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საბავშვო ბაღების, ბაგების და მოედნების ჩამოყალიბების საქმეს და გამოყოფენ საუკეთესო მოსწავლე ქალებს აღმზრდელებად და ხელმძღვანელებად.

6. მოზრდილ მოსწავლეთა ძალებით სანიმუშოდ დაამუშავებენ და მოუვლიან სასკოლო მიწის ნაკვეთს, მოიყვანენ მაღალ მოსავალს და შექმნიან მტკიცე ბაზას მოსწავლეთა კვების გასაუმჯობესებლად.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

III. მასწავლებლებისათვის

შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან ის მასწავლებლები, რომლებიც:

1. გამოიმუშავებენ უფრო მეტ შრომა დღეებს კოლმეურნეობებსა და შრომითი ნორმებს საბჭოთა მეურნეობებში, მუშაობის სათანადო ხარისხის დაცვით.

2. მ სწავლეთა რაზმისათვის გამოყოფილ ნაკვეთზე მოაწყობენ მუშაობას ორგანიზებულად, დაიცავენ სასკოლო დისციპლინას, უზრუნველჰოფენ მოსწავლეთა სამუშაოზე დროულად გამოცხადებას და მაღალ ხარისხოვნად შეასრულებენ სამუშაოების ყოველდღიურ ნორმებს.

3. იზრუნებენ მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და ჰიგიენის დაცვისათვის, ორგანიზებულად მოაწყობენ დასვენებას მოსწავლეთათვის, სხვასხვა სახის ფიზიკურ ვარჯიშებს და გასართობებს.

4. სანიმუშოდ მოაწყობენ სააგიტაციო-საპროპაგანდო და სამხედრო ფიზკულტურულ მუშაობას და კოლმეურნეთა კულტმომსახურეობას.

5. აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში საბავშვო ბაგის, კერისა და მოედნების ჩამოყალიბების და მათი მუშაობის საქმეში.

IV. მოსწავლეთა რაზმებისა და მოსწავლეთათვის

შეჯიბრებაში გამარჯვებულად ჩაითვლებიან მოსწავლეთა ის რაზმი და ცალკეული მოსწავლეები, რომლებიც:

1. გამოიმუშავებენ უფრო მეტ შრომა დღეებს კოლმეურნეობებში და შრომითი ნორმებს საბჭოთა მეურნეობებში და მაღალი ხარისხით შეასრულებენ სამუშაოს.

2. ზუსტად დაიცავენ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში არსებულ შრომითი რეჟიმს. სრული დატვირთვით ამუშავებენ მათთვის დაწესებულ დროის განმავლობაში და ბეჯითად შეასრულებენ მასწავლებლის, რაზმის ხელმძღვანელის მითითებებს და დავალებებს.

3. სანიმუშოდ დაიცავენ დისციპლინას მინდვრებზე მუშაობის პროცესში, სასადილოში, საერთო საცხოვრებელში და თავის ქცევით მისცემენ მაგალითს სხვა მოსწავლეებს დისციპლინის სანიმუშოდ დაცვის საქმეში.

4. გაუფრთხილდებიან მათზე გაპიროვნებულ სასოფლო-სამეურნეო იარაღებს და აქტიურ დახმარებას გაუწევენ კოლმეურნეო-

ბებს და საბჭოთა მეურნეობებს სახალხო ქონების მოვლა-დაცვის საქმეში.

5. აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ კოლმეურნეთა შორის საგიტაციო-საპროპაგანდო, სამხედრო-ფიზკულტურულ და კულტურულ მუშაობაში.

V. სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთა დაჯილდოება

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულთათვის დაწესდეს შემდეგი სახის პრემიები.

1. საქ. ალკკ რაიკომებისა და განათლების განყოფილებებისა და სკოლებისათვის, საქართველოს ალკკ ცეკას, საქართველოს სსრ მიწსახკომის, საქართველოს სსრ განსახკომისა და დაწყებითი და საშუალო სკოლების კავშირის ცეკას ორი წითელი დროშა.

2. მასწავლებელთა, მოსწავლეთა რაზმებისა და მოსწავლეთათვის საპატიო სიგელები და პრემიები, სულ 25 პრემია, 1 ხარ. 5, 2 ხარისხ. 10 და 3 ხარისხ. 10.

ამას გარდა ის სკოლები, რომლებიც საუკეთესოდ შეასრულებენ შეჯიბრების პირობებს წარდგენილნი იქნებიან საკავშირო ჯილდოზე. საკავშირო ჯილდოდ დაწესებულია 51 სხვადასხვა პრემია.

საქ. ალკკ ც. კ.-ის მდივანი **გ. ცქიტიშვილი**

საქ. სსრ მიწათმოქმედების სახკომისარი—**ს. ხოშტარია**

საქ. სსრ განათ. სახ. კომისარი **გ. კიკნაძე**

საქ. დაწყ. და საშ. სკ. მუშაკთა პროფკავშირის ც. კ. თავ რე **გ. ბარამიძე**

ПРИКАЗ № 3496

по Народному Комиссариату Просвещения ГССР

от 29 июля 1942 г.

О результатах годовых испытательных письменных работ по русскому языку и литературе учащихся X классов в конце 1941/42 уч. года.

Ознакомившись с анализом испытательных письменных работ по русскому языку и литературе учащихся X классов школ гор. Тбилиси и Поти, Тбилисского, Тетрицкаройского, Зестафонского, Цхакаевского и др. районов, отмечаю, что некоторые школы встретили испытания вполне подготовленными, и письменные работы в школах проведены организованно, учащиеся пишут культурно, обнаружили достаточную грамотность и внешне работы оформлены удовлетворительно; письменные работы проведены на основе инструкции Наркомпроса, преподавателями исправлены внимательно и оценены правильно (Тбилисские 19,51,80, Потийская I, Манглисская и Потийская IV русские средние школы, Манглисское педагогическое училище и др.).

Наряду с достижениями в работе некоторых школ и преподавателей русского языка имеется ряд существенных недочетов, снижающих качество работ учащихся и приводящих к неправильной оценке, нередко граничащей с процентоманией, а именно:

а) Директора школ, заведующие учебной частью, а также преподаватели не ознакомились с инструкцией НКП о проведении испытаний, имеются случаи нарушения инструкции о проведении письменных испытаний по русскому языку в нерусских школах. Учащимся X классов вместо одной темы предложено

несколько: так, в Тбилисской 90 средней и в Дагет-Хачинской средних школах Тетрицкаройского района предложены по 2 темы, в Авчальской и Ушапатской (Цхакаевский р-н) средних школах по 3, а в Норийской средней школе—Тбилисского района—4 темы; из трех тем, предложенных учащимся Диди-Кацхской средн. школы (Чиатурский р.), одна взята из программы 8 класса.

б) Работы учащихся ряда школ несамостоятельны. Так, в Глданской щколе Тбилисского района учащиеся X класса писали на тему „Пересказ из рассказв Станционый смотритель"; препод. Р. Абрамишвили (окончила Госунт) не сумела даже четко с формулировать тему. У всех учащихся текст одинаковый. Одинаковыми являются тексты работ учащихся Глданской и Авчальской средней школы; учащиеся обеих школ писали с какого-то общего источника;—несамостоятельны также работы учащихся щкол Тетрицкаройского района—Ирагинской и Цинцкаройской русских средних школ—преподаватели Таксиди (заочник II курса) и Селенгинская (с высшим образованием) и Дагет-Хачинской армянской средней школы (преп. Саруханова—окончила Тбилисский учит. Институт им. Пушкина), а также учащихся Диди-Кацхской школы препод. Гамезардашвили (окончил духовное училище).

в) Низка грамотность и общая культура письма учащихся. Несмотря на то, что работы учащимися десятых классов списаны с какого-то источника, в означенных школах очень низка грамотность учащихся, включая и отличников. Отличник Дагет-Хачинской средней школы Ч. пишет; „ученик X класса Д. Хачинской средная школй"; отличник А. допускает очень грубые ошибки „какым", „дочеры", „на конец"; ученик Р. П, слова „для него" пишет слитно; он же, оканчивая среднюю школу, не справляется с написанием слова—„учитель", пищет без„ь"; ученик Х. не справляется с написанием собственных имен: слова „Дуня" и Минский" пишет с маленькой буквы, а Гусар-с прописной. В той же школе работы учащихся С. Н. и С. М. выглядят как работы малограмотных. Отличник Цинцкаройской русской средней школы Л. Ф. допускает грубые ошибки: „Уровен", „передовим", „посветившим" и др. Аналогичное положение имеется и в работах учащихся других школ;

г) Работы выпускных классов преподавателями исправлены невнимательно, в результате чего оценки работ большинства учащихся являются завышенными. Так, в Потийской II средней школе (преп. Кс. Надарая) у отличников неисправленными осталось от 3 до 15 различных ошибок: у отличников Э. Б. и Э. Г. пропущено по 9 ошибок, у II.—15, а Н. Х—22 ошибки; немного лучше обстоит дело в Потийской III и V средней школе, но пропуски ошибок в работах отличников всетаки имеются (от 2 до 4). В Глданской средней школе препод. Абрамишвили совершенно не исправлена работа отличницы Р. М., в работе ее осталось неисправленными 16 ошибок; в работах остальных отличников этой школы Н. М., П. Р., II. неисправленными осталось от 5 до 12 ошибок. Такое же положение имеется в Дагет-Хачинской средней школе. Препод. Саруханова в работе отличника. Ч. оставлено неисправленными 17 разных ошибок, то же и в работах других отличников.

Невнимательно исправлены работы учащихся X классов Диди-Кацхской, Чхираульской и Зодской средних школ—Чиатурского р-на.

Считаю, что эти недочеты в испытательных письменных работах учащихся выпускных классов школ Потийского, Тетрицкаройского Цхакаевского, Тбилисского и др. районов является результатом безответственного отношения директоров к своим обязаностям по руководству щколой, оказанию помощи преподавателям и контролю над их работой, отсутствия с их стороны систематической проверки работы преподавателей, в частности в отношении проведения письменных работ по русскому языку, исправления последних, беззаботного отношения к делу снабжения учащихся учебниками в пополнения библиотеки литературой на русском языке для внеклассного чтения и т. д., а также такого же отношения к своим обязанностям со стороны преподавателей русского языка, которые в результате заниженных требований, пред'являемых ими к учащимся, и невнимательного исправления письменных работ в продолжение учебного года выводили учащимся завышенные оценки и дезориентировали их в отношении грамотности.

ПРИКАЗЫВАЮ:

1. За нарушение инструкции Наркомпроса Грузинской ССР относительно проведения письменных испытаний в X классах нерусских школ и слабую организацию работы в период испытаний директорам Тбилисской 90 (Карапетян), Дагет-Хачинской (М. Абрамян), Норийской (Мгалоблишвили) и Диди-Кацхской (Леонидзе) средних школ аб'явить строгий выговор.

2. За невнимательное исправление испытательных письменных работ, в результате чего учащиеся из школ недостойно выпущены отличниками преподавателей русского языка и лит-ры Дагет-Хачинской средней школы—Саруханову и Глданской средней школы Абрамищвили в 1942/43 учебном году сместить с должности преподавателя русского языка в старших классах средних школ, поручив им уроки в классах неполной средней школы.

3. За слабую подготовку к испытаниям директорам Ушапатской и Авчальской средних школ Кучулория и Почхуа и за невнимательное исправление испытательных письменных работ учащихся X классов приподавателям русского языка и литературы Потийской II средней школы Надарая, Диди-Кацхской—Гамезардашвили, Зодской—Гурабанидзе, Чхираульской—Капанадзе, Авчальской—Л. Купрейшвили, Норийской—Каджая, Асуретской—Т. Цулукидзе, Ушапатской—Бобохидзе, Цинцкаройской и Ирагинской русских средних школ—Селегинской и Таксиди поставить на вид.

4. Преподавателям русского языка и литературы систематически повышать свою квалификацию, изучить имеющуюся методическую литературу и в повседневной своей работе руководствоваться соответствующими директивами и постановлениями Наркомпроса, данными в 1938—1941 годах: 1) Результаты испытательных письменных работ учащихся X классов в конце 1937/38 и 1939/40 уч. года; 2) О состоянии изучении русского языка и литературы в нерусских школах Грузинской ССР за первое полугодие 1940/41 учебного года; 3) О состоянии изучения русского языка и литературы в школах гор. Кутаиси и в Кутаисском районе в 1940/41 уч. году; 4) О постановке изучения русского языка и литературы в усло-

виях Отечественной Войны в нерусских школах Грузинской ССР в 1941/42 учебном году и др.

5. Зав. ОНО Потийского, Тетрицкаройского, Тбилисского, Чиатурского, Цхакаевского районов оказывать систематическую помощь преподавателям русского языка школ района и установить контроль над работой препод. Надарая, Саруханова, Цулукидзе, Селенгинской, Таксиди, Абрамишвили, Гамезардашвили, Гурабанидзе, Капанадзе, Бобохидзе и др., в случае необеспечения ими соответствующей постановки преподавания русского языка и литературы, поставить вопрос перед НКП об освобождении от обязанностей преподавателя русского языка.

6. Обязать Ректора Тбилисского Государственного Университета и директоров педагогических и учительских институтов организовать обсуждение данного приказа на заседании кафедры русского языка и литературы и наметить мероприятия по обеспечению лучшей подготовки кадров преподавателей русского языка и литературы.

7. Научно-исследовательскому институту школ, по обсуждении данного приказа, наметить мероприятия для оказания систематической и конкретной помощи предподавателям русского языка и литературы.

8. Предложить Зав. ОНО всех районов поставить на обсуждение данного приказа на педагогическом совете школ района и секции преподавателей русского языка и литературы перед началом нового учебного года и наметить мероприятия, необходимые для улучшения преподавания русского языка в школах района, предусмотрев в них проведение письменных работ в соответствии с нормами НКП.

Народный Комиссар Просвещения
Груз. ССР *Г. Кикнадзе.*

პ/მგ. რედაქტორი ბ. კიზირია

Сборник приказов и распоряжении
НКПроса ГССР № 7
(на грузинском языке)

საქ. ადგ. მრეწვ. სახ. კომ-ის სტამბა, ფურცელაძის ქუჩა, № 5.
შეკვეთის № 1785 უე11466 ტირაჟი 1000